

საქართველოს ბანკების ასოციაცია

ეკონომიკური გლოსარიუმი

აბსოლუტური უპირატესობა
(Absolute advantage)

ქვეყნის უნარი აწარმოოს უფრო მეტი საქონელი ვიდრე სხვა ქვეყანა აწარმოებს რესურსების იგივე მოცულობისას (იხ. ფარდობითი უპირატესობა)

არასრული დასაქმება
(Under-employment)

ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც მუშახელის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას

აუთსაიდერი (ბანკის)
(Outsider)

არა-ინსაიდერი

აქცია
(Share, Stock)

საზღვრების მოპოვების მიზნით სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი. აქციის მყიდველი გადახდის ფულის სანაცვლოდ ხდება კომპანიის სრულფასოვანი თანამესაკუთრე, ანუ მონაწილეობს მის მართვასა და მოვებაში. (იხ. ფასიანი ქაღალდები, ობლიგაცია, სახაზინო ვალდებულება)

შენიშვნა: ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, სიტყვა stock განსხვავდება მნიშვნელობით სიტყვა share-საგან, და აღნიშნავს კომპანიის ან სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ გრძელვადიან სასესხო ვალდებულებას.

აქტივი
(Asset)

ყველაფერი, რასაც აქვს ფულადი ღირებულება და წარმოადგენს კომპანიის ან პიროვნების საკუთრებას.

არაკონვერტირებადი ვალუტა
(Inconvertibility)

რომელიმე ქვეყნის ვალუტა, რომლის თავისუფალი გაცვლაც გარე სავალუტო ბაზრებზე, მხოლოდ სამთავრობო ორგანოების სპეციალური უფლებით ხდება.

ბალანსის აღრიცხვის ფურცელი - ბალანსი
(Balance sheet)

დოკუმენტი, რომელიც ასახავს ფირმის აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობას და სტრუქტურას.

ბიუჯეტური შეზღუდვა
(Budget constraint)

ხარჯების შეზღუდვა გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, შემოსავლების სიმცირით.

ბრძანებლური ეკონომიკა
(Command economy)

ეკონომიკური სისტემის ისეთი სხის ორგანიზება, როდესაც მატერიალური რესურსები, სახელმწიფო საკუთრებასა, ზოლო მეურნეობის მართვა და დაგეგმვა და ბაზრის რეგულირება სხორციელდება ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვით.

bunbrivi monopolia
(Natural monopoly)

დარგი რომელშიც წარმოების მასშტაბების ზრდით გამოწვეული ეკონომია აღწევს სიდიდეს, რაც იძლევა ერთი კომპანიის მიერ პროდუქტის გამოშვებას, ერთეულ პროდუქტზე ისეთი დანახარჯებით, რაც რამდენიმე კომპანიის ერთობლივი გამოშვებით იქნებოდა შესაძლებელი.

გადასახადები
(Taxes)

ბეგარა დაწესებული სახელმწიფოს მიერ კერძო პირების ან საწარმოების შემოსავალზე ან მოგებაზე (პირდაპირი გადასახადი), საქონლის გამოყენებზე ან მომსახურებით სარგებლობაზე (ირიბი გადასახადი) და ქონებაზე. საქართველოში არსებული ძირითადი გადასახადებია:

1. საწარმოს მოგებაზე გადასახადი (Profit tax);
2. კერძო პირების შემოსავალზე გადასახადი (Personal income tax);
3. დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი – დღგ (Value Added Tax). მისი ბაზაა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება – სხვაობა საქონლის ან მომსახურების სარეალიზაციო ფასსა და მის წარმოებასა და მოწოდებასთან დაკავშირებული მატერიალურ ხარჯებს შორის;
4. საბაჟო გადასახადი (Customs duties) – სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი ქვეყნის საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის;
5. აქციზი (Excise) – გარკვეული სახის საქონლის მოხმარებაზე ირიბი გადასახადი, რომელიც ჩართულია ამ საქონლის ფასში;
6. გადასახადები ხელფასების ფონდიდან (Payroll taxes) – სპეციალური სახელმწიფო ფონდების (ჯანდაცვის, სოცუზრუნველყოფის და ა.შ.) მოსაკრებელი, რომლის გადახდა დაქირავებულისა და მუშაკის მიერ ხდება საწარმოს ხელფასების ფონდიდან, ფიქსირებული განაკვეთით.

(იხ. საგადასახადო ბაზა)

გადახდისუნარიანი ბანკი
(Solvent bank)

ბანკი, რომლის აქტივები აღემატება ვალდებულებებს დეპოზიტებზე, დამატებული სხვა ვალდებულებები

გადახდისუნარო ბანკი
(Insolvent bank)

ბანკი, რომლის ვალდებულებებიც დეპოზიტებზე, დამატებული სხვა ვალდებულებები აღემატება აქტივებს.

გამოშვება, წარმოების მოცულობა
(Output)

საქონელი და მომსახურება წარმოებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

განვითარებული ქვეყნები
(Industrially advanced countries)-

განიხილება აშშ, კანადა, იაპონია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებმაც შეძლეს ეკონომიკის ისეთი განვითარებისათვის მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს კვლავწარმოებას, კაპიტალის დაგროვებითა და მაღაკვალიფიციური მუშა ხელით..

განვითარებადი ქვეყნები
(less developed countries)

ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის და სხვა რეგიონების ქვეყნები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია საწარმოო ძალების განუვითარებლობა, განათლებისა და მეცნიერებადრეკადი ტექნოლოგიების დაბალი დონე, მაღალი უმუშევრობა და ა.შ.

გაუნაწილებელი მოგება
(Undistributive profits)

გადაახადების გადახდის შედეგად მიღებული მოგება, რომელიც არ განაწილებულა აქციონერებს შორის აქციებზე დივიდენდების სახით.

გირაო
(Collateral)

გარკვეული უზრუნველყოფა, რომელსაც მსესხებელი გადასცემს კრედიტორს სესხის დაბრუნების გარანტიისათვის.

დახურული ეკონომიკა
(Closed economy)

ქვეყნის ეკონომიკა, რომელიც არ ეხება საქონლისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს.

დეფოლტი
(Defolte)

ვალების სრგადამხდელი. პიროვნება, კორპორაცია ან მთავრობა ვალების არ გადახდელია თუ ის ვალების გადახდის პირობებს არ იცავს.

დეპოზიტი
(Deposit)

კერძო პირის ან საწარმოს ანგარიში კომერციულ ბანკში, რომელზედაც მომხმარებელს შეუძლია ფულის ან ჩეკების განთავსება და მათი გამოტანა ბანკის წინასწარ გაფრთხილების პირობით.

დეფიციტი
(Deficits)

ბიუჯეტის მიმდინარე დეფიციტი არის თანხა, რომლის მთლიანი დანახარჯები სჭარბობს მთლიან შემოსავალს.

დეფლატორი (მშპ-ის დეფლატორი)
(Deflator - GDP deflator)

ფასების ინდექსი, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ წელს გამოშვებული საქონლის ღირებულების ფარდობას საბაზისო წლის ფასებში გამოსახულ ღირებულებასთან. მშპ-ის დეფლატორი განსაზღვრავს დამოკიდებულებას ნომინალურ და რეალურ (საბაზისო წლის) მშპ-ს შორის.

დეფლაცია
(Deflation)

ფასების საერთო დონის დაწევა. (იხ. ინფლაცია)

დივიდენდი
(Dividend)

თანხა, რომელიც ყოველწლიურად გაიცემა ერთ აქციაზე აქციების მფლობელებისათვის. დივიდენდი, ჩვეულებრივ წარმოადგენს აქციისაგან მიღებული მოგების ნაწილს.

<p>დიდი შვიდეული (G7, Group of 7)</p>	<p>ჯგუფი, რომლის წევრები არიან აშშ, გაერთიანებული სამეფო, კანადა, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, და იტალია. მისი მიზანია თანამსრომლობა საერთაშორისო ფინანსურ და პოლიტიკურ საკითხებში.</p>
<p>ეკონომიკური ზრდა (Economic growth)</p>	<p>დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი ერთი წლის განმავლობაში) ადგილობრივი წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების გასულ წელთან შედარებით, რეალური ზრდა.</p>
<p>ეკონომიკური პოლიტიკა (Economic policy)</p>	<p>კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ მეურნეობაში პრობლემების კორექტირებას ან არასასურველი ტენდენციების წარმოქმნის პირობების აღმოფხვრას.</p>
<p>ეკონომიკური ინტეგრაცია (Economic integration)</p>	<p>სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ მეურნეობათა თანამსრომლობა, ვაჭრობაში სხვადასხვა ბარიერების, მთლიანი ან ნაწილობრივად აღმოფხვრით. ქვეყნების ბაზრების უნიფიკაცია ერთიან საკანონმდებლო და სავაჭრო სივრცეში.</p>
<p>ელასტიურობის კოეფიციენტი (Elasticity coefficient)</p>	<p>მოთხოვნისა ან მიწოდების პროცენტული ცვლილების შეფარდება, საქონელზე ფასების ცვლილებასთან.</p>
<p>ეროვნული ანგარიშები (National accounts)</p>	<p>დროის გარკვეულ პერიოდში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში), ეროვნული ეკონომიკის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების ერთობლიობა. კერძოდ, ეროვნული ანგარიშები ასახავენ ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან მოცულობას და ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ინდიკატორს წარმოადგენენ.</p>
<p>ვადიანი ანაბრები (Time deposite)</p>	<p>პროცენტის მომტანი დეპოზიტები, რომელთა დაბრუნების ვადა ჭინასწარ არის განსაზღვრული.</p>
<p>ვალდებულება (პასივი) (Liability)</p>	<p>ვალი; პიროვნების ან საწარმოს განკარგვაში არსებული სახსრები და ქონება, რომელზედაც სხვა მხარეს გარკვეული პრეტენზია შეიძლება გააჩნდეს. ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაში გამოსახული ფასი, რომელიც დადგენილია ამ ვალუტების რეალური მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით.</p>
<p>ვალუტის გამყარება (კურსის ზრდა) (Appreciation)</p>	<p>სავალუტო ბაზარზე ვალუტის ფასის ზრდა. (იხ. ვალუტის დაცემა)</p>

ვალუტის დაცემა (კურსის დაცემა)
(Depreciation)

სავალუტო ბაზარზე ვალუტის გაიაფება სხვა ვალუტებთან შედარებით.

შენიშვნა: ეკონომიკურ ლიტერატურაში სიტყვას “Depreciation” შეიძლება ჰქონდეს სხვა მნიშვნელობაც – ცვეთა, ცვეთის საბუღალტრო ასახვა, ამორტიზაცია.

თამასუქი, ვექსილი
(Debenture)

სერთიფიკატი, რომელშიც აღნიშნულია სესხის ოდენობა, გადასახდელი პროცენტები და გადახდის დრო, მაგრამ არ არის გათვალისწინებული გირაო. თამასუქის უკან დგას მართო გამომწერის რეპუტაცია და გადახდის დაპირება.

ინვესტიცია (კაპიტალდაბანდება)
(Investment)

1. ფიზიკური ქონების, მაგალითად ქარხნის, მანქანა-დანადგარების, შესაძენად გაწეული ხარჯი. (რეალური ინვესტიცია)

2. ფასიანი ქაღალდების, მაგალითად აქციების, შესაძენად გაწეული ხარჯი. (ფინანსური ინვესტიცია)

შენიშვნა: რეალური ინვესტიცია ქმნის ახალ აქტივებს, ე. ი. ზრდის ქვეყნის საწარმოო პოტენციალს; მაშინ როდესაც ფინანსური ინვესტიცია, უბრალოდ, აქტივების ფლობის უფლების გადაცემაა.

ინსტიტუციონალური ინვესტორი
(Institutional investor)

ინვესტორი დაწესებულება, ორგანიზაცია რომელიც აბანდებს საკუთარ ქონებას ან მის განკარგულებაში მყოფ სხვის ქონებას. ასეთი სახის ინვესტორებია-საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები, ბანკები.

ინსაიდერი (ბანკის)
(Insider)

ბანკის ადმინისტრაციული მუშაკი ან აქციონერი, მისი ოჯახის წევრი ან მასთან საქმიანი ინტერესებით დაკავშირებული პირი. (საპირ. - აუთსაიდერი)

ინტელექტუალური კაპიტალი
(Human capital)

საერთო ცოდნა რომელიც გამოიყენება წარმოებაში. ინტელექტუალური კაპიტალის გაზრდაში, ანუ სხვადასხვა სახის გამოკვლევებში დაბანდებულ ინვესტიციებს, შედეგად სდევს ახალი, ტექნიკურად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება და ეკონომიკის ეფექტურობის ზრდა.

ინტერვენცია
(Intervention)

ამა თუ იმ ეკონომიკური სუბიექტის ერთჯერადი ინტენსიური ზემოქმედება ბაზარზე. მაგალითად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვის მკვეთრი გაზრდა.

ინფლაცია
(Inflation)

ფასების საერთო დონის აწევა, საქონელსა და მომსახურებაზე. (იხ. დეფლაცია)

<p>კალათა (Basket)</p>	<p>ამა თუ იმ სიდიდეთა კომპლექტი, ნაკრები, მაგ.:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სამომხმარებლო კალათა – პირობითი მომხმარებლის მიერ მოხმარებული საქონლისა და მისთვის გაწეული მომსახურების ერთობლიობა; 2. სავალუტო კალათა – სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის ამა თუ იმ წესით შექმნილი ნაკრები (ECU – ეკიუ, ევროპული სავალუტო ერთეული; SDR – სესხების სპეციალური უფლება; PS – მსყიდველობითი უნარის სტანდარტი).
<p>კაპიტალდაბანდება (Investment)</p>	<p>იხ. ინვესტიცია.</p>
<p>კაპიტალი (Capital)</p>	<p>წარმოების მატერიალური (ფაბრიკები, ოფისები, მანქანა დანადგარები) და არამატერიალური (“ნოუ-ჰაუ”) საშუალებების ერთობლიობა.</p>
<p>კაპიტალის დენა (Capital flight)</p>	<p>ფონდების მოძრაობა ადგილობრივ ეკონომიკასა და გარე სამყაროს შორის, დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების ან ფიზიკური აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან და საერთაშორისო სესხებთან.</p>
<p>კაპიტალური ანგარიში (Capital account)</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საგადამხდელო ბალანსის ნაწილი, რომელიც აღწერს გრძელვადიანი აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან და კერძო სექტორის სესხებთან დაკავშირებულ სახსრების მოძრაობას (იხ. მიმდინარე ანგარიში) 2. ეროვნული ანგარიშების ნაწილი, რომელიც მოიცავს მთავრობის მიერ სახელმწიფო ინფრასტრუქტურის სფეროში (გზები, სკოლები, საავადმყოფოები) გაწეულ ხარჯებს და კერძო სექტორის რეალურ ინვესტიციებს.
<p>კაპიტალის გადინება (Capital flight)</p>	<p>კაპიტალის(ფონდების) გადადინება ადგილობრივ ეკონომიკასა და გარე სამყაროს შორის, დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების ან ფიზიკური აქტივების ყიდვა-გაყიდვასთან და საერთაშორისო სესხებთან.</p>
<p>კორელაცია (Correlation)</p>	<p>რაიმე მოვლენის, შესაბამისად ეკონომიკური პარამეტრების ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება.</p>
<p>კრედიტორი ქვეყნები (Kreditor natio)</p>	<p>ქვეყნები, რომლის ვალების ჯამი უცხო ქვეყნების ან უცხოელებისადმი ნაკლებია იმის ჯამზე, რაც მისი მართებთ.</p>

ძირითადად, დიდი შვიდეულის ქვეყნები.

ლევერიჯი
(Leverage)

ბერკეტი. ნასესხები ფონდების გამოყენება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს ამონაგები სუფთა მოგებიდან. ასეთ შემთხვევაში ელიან, რომ დაწესებული საპროცენტო განაკვეთი უფრო მცირე იქნება, ვიდრე შემოსავალი ნასესხები ფულიდან. გამოყოფენ საოპერაციო და ფინანსურ ლევერიჯს. საოპერაციო ლევერიჯი ძირითადი კაპიტალის მოხმარებას ასახავს., ხოლო ფინანსური ფიქსირებული განაკვეთის ფასიანი ქაღალდების გამოყენებას.

ლევერის მრუდი
(Laffer curve)

საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთკავშირის მრუდი, განსაზღვრავს ისეთი სახის განაკვეთებს, რომლის დროსაც საგადასახადო შემოსავლები მაქსიმუმს აღწევს.

ლიკვიდურობა
(Liquidity)

სიადვილე, რომლითაც შეიძლება ქონება ნაღდ ფულად ვაქციოთ.

ლიკვიდური აქტივები (ბანკის)
(Liquid assets)

ფულადი აქტივები რომლებიც ადვილად შეიძლება იქნას გამოყენებული ანგარიშსწორებისთვის: ოქრო, ბანკის ფულადი სახსრები სალაროში (ლარები და უცხოური ვალუტა), საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში (მათ შორის საზღვარგარეთაც), სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე არსებული სახსრები (თუ ისინი საკრედიტო აუქციონზე ნაყიდი კრედიტის უზრუნველყოფას არ წარადგენენ).

ლორენცის მრუდი
(Lorenz curve)

რაიმე სიდიდის, მაგალითად შემოსავლების, განაწილების ამსახველი მრუდი.

დიაგონალსა და ლორენცის მრუდს შორის მოქცეული ფართობის შეფარდებას დიაგონალის ქვემოთ მოქცეულ ფართობთან ეწოდება ჯინის (Gini) კოეფიციენტი. იგი წარმოადგენს განაწილების არათანაბრობის საზომს და იცვლება ნოლიდან (თანაბარი განაწილება) ერთამდე (აბსოლუტურად არათანაბარი განაწილება).

M0	სხვანაირად – “ვიწრო ფული”. მონეტარულ თეორიაში ფულადი მარაგის ერთ-ერთი საზომი (ფულადი აგრეგატი), რომელიც მოიცავს ფულადი აქტივების ყველაზე ლიკვიდურ ნაწილს – ბანკების გარეთ არსებულ ნაღდ ფულს. (არ მოიცავს იმ ნაღდ ფულს, რომელიც რეზერვების სახით კომერციული ბანკების საცავებში ინახება).
M2	სხვანაირად – “ფართო ფული”, მოიცავს M0-სა და კომერციულ ბანკებში არსებულ არასაბანკო და არასახელმწიფო დეპოზიტებს ადგილობრივ ვალუტაში. განისაზღვრება როგორც ფული, რომელიც, გარკვეული პერიოდის ამოწურვის შემდეგ, შეიძლება გამოყენებულ იქნას ანგარიშსწორებისთვის.
M3	ასევე, ხშირად მოიხსენიება როგორც “ფართო ფული”; მოიცავს M2-სა და მოსახლეობის უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ანაბრებს კომერციულ ბანკებში.
მაკროეკონომიკა (Macroeconomics)	ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს ეკონომიკას როგორც ერთ მთლიანს და ცდილობს დაადგინოს ფუნდამენტური ეკონომიკური ცნებების – წარმოებისა და დასაქმების დონის, ფასების საერთო დონის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები.
მატერიალური აქტივები (ბანკის) (Fixed assets)	შენობა-ნაგებობანი, სამეურნეო ინვენტარი და მათზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები
მევალე ქვეყანა (Debtor natio)	ქვეყანა, რომლის ვალების ჯამი უცხო ქვეყნებისან უცხოელებისადმი სჭარბობს იმის ჯამს რაც მისი მართებთ.
მეორადი კაპიტალი (ბანკის) (Secondary capital)	მატერიალური აქტივების გადაფასების ნაწილი, მიზნობრივი ფონდები, საიმედო სესხების შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით შექმნილი რეზერვები. (იხ. პირველადი კაპიტალი)
მიკროეკონომიკა (Microeconomics)	ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც სწავლობს მომხმარებლებისა და ფირმების ქმედებას; ანალიზებს საწარმოო ფაქტორების, საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებსა და მოცულობას. აგრეთვე, განიხილავს შეზღუდული ეკონომიკური რესურსების განაწილების ეფექტურობას.

მონეტარიზმი (Monetarizm)	ფილოსოფიური, იდეოლოგიური და ანალიტიკური კონცეფცია. მონეტარიზმის მთავარი თეორიული პოსტულატით, ფულის მიმოქცევის რეგულირება განსაზღვრავს ეკონომიკის მთელ სამეურნეო კონიუნქტურას.
მოთხოვნის არაელასტიურობა (Inelastic demand)	ფასის ერთეულზე პროცენტული ცვლილება აღმატებულობა მოცულობის პროცენტულ ცვლილებაზე.
მოთხოვნები (Claims)	ფინანსური აქტივები, სახელდობრ გაცემული კრედიტები, სახაზინო და კომერციული თამასუქები.
მონეტარული პოლიტიკა (Monetary policy)	იხ. ფულადი პოლიტიკა.
მიმდინარე ანგარიში (Current account)	1. დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ქვეყნის მსოფლიოსთან დანარჩენ ქვეყნებთან სასაქონლო (ხილული) და სამომსახურეო (უხილავი) ვაჭრობის ამსახველი ანგარიში. (იხ. საგადაამხდელო ბალანსი; სავაჭრო ბალანსი) 2. ბანკში ფიზიკური პირის თუ კომპანიის მოთხოვნამდე ანგარიში.
მიმდინარე აქტივები (ბანკის) (Current assets)	ლიკვიდური აქტივები და ბანკის მიერ დაფარვის ერთ თვემდე ვადით გაცემული სესხები. აგრეთვე ბანკის სხვა მოთხოვნები დაფარვის ერთ თვემდე ვადით.
მწარმოებელთა ფასების ინდექსი – მფი (Producer price index - PPI)	ინდექსი რომელიც ასახავს ადგილობრივი მწარმოებლების მიერ საკუთარ პროდუქციაზე დადებული ფასების დონის საშუალო ცვლილებას. (იხ. სამომხმარებლო ფასების ინდექსი)
მეპ - მთლიანი ეროვნული პროდუქტი (GNP)	დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ქვეყნის მშპ-სა და საზღვარგარეთიდან მიღებული წმინდა შემოსავლის ჯამი.
მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP)	დროის გარკვეულ მონაკვეთში, (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ჯამური ფულადი ღირებულება. (იხ. ეროვნული ანგარიშები)
ნომინალური (Nominal)	გაზომილი მიმდინარე ფასებში, ინფლაციის გაუთვალისწინებლად. (იხ. რეალური)

<p>ობლიგაცია (Bond)</p>	<p>როგორც წესი, მთავრობის ან კომერციული ორგანიზაციის მიერ, სესხის აღების მიზნით გამოშვებული, მყარი საპროცენტო განაკვეთის მქონე, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი. (იხ. აქცია, სახაზინო თამასუქი).</p>
<p>პასივი (Liabilities)</p>	<p>ფულადი ვალდებულება, მოთხოვნები წარმოდგენილი კომპანიის ან იურიდიული პირისადმი.</p>
<p>პირველადი კაპიტალი (ბანკის) (Primary capital)</p>	<p>აქციების რეალიზაციიდან მიღებული კაპიტალი, კაპიტალური რეზერვები (განაწილებული მოგების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია გაუთვალისწინებელი ზარალის დასაფარავად), გაუნაწილებელი მოგება. (იხ. მეორადი კაპიტალი)</p>
<p>პროფიციტი (Proficits)</p>	<p>ბიუჯეტის მიმდინარე პროფიციტი არის თანხა, რომლის მთლიანი შემოსავალი სჭარბობს მთლიან დანახარჯებს.</p>
<p>რბილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (Accomodating monetary policy)</p>	<p>ცენტრალური(ეროვნული) ბანკების მიერ ტაქტიკური მიზნით, ნომინალური საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება, ღია ბაზარზე ოპერაციების მეშვეობით.</p>
<p>რეალური (Real)</p>	<p>გაზომილი ნამდვილ (საბაზისო წლის ფასებთან შესადარ) ფასებში, ინფლაციის გათვალისწინებით.</p>
<p>რეკაპიტალიზაცია (Recapitalization)</p>	<p>მიღებული მოგების, აქციებზე დივიდენდების გაუნაწილებლად, კომპანიის საწესდებო კაპიტალში ჩაბრუნებით.</p>
<p>რეფინანსირების განაკვეთი საგადასახდელო ბალანსი (Balance of payments)</p>	<p>იგივეა რაც სააღრიცხვო განაკვეთი დროის გარკვეულ მონაკვეთში, (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) ქვეყნის მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობის ამსახველი ანგარიში. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალური ანგარიში.</p>
<p>სააღრიცხვო განაკვეთი (Discount rate)</p>	<p>პროცენტის სიდიდე, რომელსაც ცენტრალური(ეროვნული) ბანკები ადგენენ საკრედიტო რესურსებზე.</p>
<p>საბაზრო კაპიტალიზაცია (Market capitalization)</p>	<p>ფირმის ღირებულება, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ფასით ან მის მიერ გამოშვებული და გადაუხდელი ჩვეულებრივი აქციებით.</p>
<p>საბანკო კრიზისი ან საბანკო პანიკა (Bank crisis or panic)</p>	<p>ლიკვიდურობის პრობლემა საბანკო სისტემაში, რომელიც დაკავშირებულია საბანკო დეპოზიტების მასიურ გატანასთან.</p>

საგადამხდელო ბალანსი
(Balans of payments)

გარკვეულ პერიოდში(როგორც წესი ერთი წლის განმავლობაში)რომელიმე ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობების ამსახველი ანგარიში. იგი წარმოადგენს ქვეყანაში ფულის ყოველგვარი შეტანისა და გადინების აღრიცხვას.

საგადასახადო ბაზა
(Tax base)

მთლიანი ფულადი ფონდი, რომელიც ექვემდებარება გადასახადების გადახდას. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის ბაზა არის ამ გადასახადს დაქვემდებარებული მთლიანი შემოსავლები, ხოლო მოგების გადასახადის ბაზა არის ყველა იმ მოგების ჯამი, რომელიც ამ გადასახადს ექვემდებარება.

საგადასახადო ფარდობა
(Tax wedge)

თანაფარდობა დამქირავებლის მიერ გაწეული მთლიანი ხარჯებისა დაქირავებულის მიერ მიღებულ წმინდა ხელფასის ოდენობასთან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი
(IMF, International Monetary Fond)

მისი შტაბ-ბინა ვაშინგტონშია..ეს ორგანიზაცია თვალყურს ადევნებს ფულის მარაგს, რასც მისი წევრი ქვეყნების ფულადი შენატანების საშუალებით ახორჩილებს.მისი მიზანია სტსბილური გახადოს საერთაშორისო ბაზრები და ხელი შეუეყოს მოწესრიგებულ და დაბალანსებულ ვაჭრობას.

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები
(Foreign currency rezerves)

უცხოური ვალუტისა და ოქროს მარაგი, რომელიც გამოიყენება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შესავსებად

სავაჭრო ბალანსი
(Balance of trade)

დროის გარკვეულ მონაკვეთში, (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან ქვეყნის სასაქონლო (ხილული) ვაჭრობის ამსახველი ანგარიში. (იხ. საგადამხდელო ბალანსი; მიმდინარე ანგარიში). თუ იმპორტი სჭარბობს ექსპორტს საქმე გავაქვს სავაჭრო დეფიციტთან, თუ პირიქით—აქტიურ სავაჭრო სალდოსთან.

სავალუტო კურსი
(Exchange rate)

კურსი, რომლითაც ერთ რომელიმე ვალუტა შეიძლება გადაიცვალოს მეორეზე.

სავალუტო კონტროლი
(Curensi controls)

გამოიყენება არაკონვერტირებადი ვალუტების დროს. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება გარკვეული სამთავრობო სააგენტოს მიერ ან სპეციალიზირებული სამთავრობო ექსპორტ-იმპორტ ბანკების მეშვეობით, რათა შემოღებული იქნას გაცვლის ისეთი ტარიფები, რომლებიც იმ სახის ნაწარმისა და ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს, რომელთა დაცვაც

მთავრობას სურს..

სავალუტო რეზერვები
(Foreign currency (exchange) reserves)

უცხოური ვალუტისა და ოქროს მარაგი, რომელიც გამოიყენება საგადასვლელი ბალანსის დეფიციტის შესავსებად.

სავალდებულო რეზერვები
(Reserve requirements)

კომერციული ბანკების საერთო აქტივებში რეზერვების სავალდებულო პროპორცია, რომელსაც ცენტრალური ბანკი აწესებს. სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად, ეს თანხები უზრუნველყოფენ მომხმარებლების ყოველდღიური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ანაბრების დაცვას და ზღუდავენ კრედიტების გაცემას. ეს რეზერვები ინახება ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებში. ცენტრალური ბანკის მხრიდან, საბანკო რეზერვებზე მოთხოვნების გაზრდა (შემცირება) ამცირებს (ზრდის) იმ დეპოზიტების მოცულობას, რომელთა გაცემა ან დაბანდება ბანკს შეუძლია.

საინვესტიციო ბანკი
(Investment bank)

საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც აკონტროლებს მუნიციპალური ობლიგაციების გამოშვებას, აგრეთვე კომპანიების აქციებსა და ობლიგაციებს.

საკრედიტო ხაზი
(Line of kredit)

ბანკის თანხმობა, სპეციალური მოლაპარაკებების გარეშე, უზრუნველყოს მომავალში მსესხებელი სესხით წინასწარ განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

საკუთარი კაპიტალი
(Net wors capital)

სიდიდე, რომლითაც აქტივები აღემატებიან პასივებს ანუ აქტივებს და პასივების სხვაობა.

საკორესპონდენტო ანგარიშები
(Correspondent accounts)

ბანკების ანგარიშები სხვა ბანკებში, რომლებიც გამოიყენება კლიენტთა სახელით ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში. მათი მოცულობა დამოკიდებულია საანგარიშსწორებო სისტემის მოქნილობაზე და ბანკების სურვილზე გასცენ სესხი.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი – სფი
(Consumer price index - CPI)

ინფლაციის საზომი ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფიქსირებული კალათის ნომინალური ღირებულების ფარდობას ამავე კალათის საბაზისო წლის ფასებში გამოსახულ ღირებულებასთან.

სამუშაო ძალა
(Labour)

როგორც ფიზიკური (მაგალითად, მანქანის აწყობა), ისე ინტელექტუალური (მაგალითად, მარაგის აღრიცხვის სისტემის შექმნა) შრომის შენაძენი საწარმოო პროცესში.

საპროცენტო განაკვეთი
(Interest rate)

მსესხებლის მიერ კრედიტორისთვის ძირითადი ვალის გარდა გადასახდელი თანხა, გამოხატული ძირითადი ვალის

	<p>პროცენტებში; ფულადი რესურსების გადაცემის საბაზრო ფასი.</p>
<p>სარეზერვო ფული (Reserve money)</p>	<p>ასევე მოიხსენიება როგორც ფულის ბაზა ან “ძლიერი ფული”, შეიცავს M0-სა და კომერციულ ბანკებში არსებულ სხვადასხვა რეზერვებს. სარეზერვო ფულის მოცულობას უშუალოდ ცენტრალური ბანკი აკონტროლებს.</p>
<p>საფასო დისკრიმინაცია (Price diskriminacion)</p>	<p>საფასო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კონკურენციის შესაზღვრავად.</p>
<p>საჯაროდ გამოტანა (Going public)</p>	<p>ტერმინი, რომელიც მაშინ იხმარება, როდესაც კომპანიას თავისი აქციები პირველად გამოაქვს გასაყიდად.</p>
<p>სახაზინო თამასუქი (ვალდებულება) (Treasury bill)</p>	<p>ფინანსთა სამინისტროს ან ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული, განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის მქონე, მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს მთავრობის მიერ თამასუქის მფლობელისაგან სესხის აღების დამამტკიცებელ საბუთს. სახაზინო თამასუქი ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ცენტრალური ბანკი აკონტროლებს მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობას. (იხ. ობლიგაცია)</p>
<p>სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები (Loan loss rezerves)</p>	<p>საბანკო საბალანსო ანგარიშსწორების პოზიცია, რომელიც ასახავს სესხებს რომელთა დაბრუნების შანსებიც მცირეა.</p>
<p>სისტემ წარმომქმნელი(ფორმირებადი) ბანკები (Sistem organized banks)</p>	<p>ბანკები, რომელთა ზემოქმედება ეკონომიკაზე და საბაზრო სეგმენტთა განვითარებაზე მნიშვნელოვანია.</p>
<p>სპეკულაციური ინვესტიცია (Speculative investment)</p>	<p>მოკლევადიანი (ჩვეულებრივ ერთ წლამდე) ინვესტიცია, რომელიც მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირებული და ძირითადად მოძრაობს საფონდო ბაზრებზე.</p>
<p>სოციალური უზრუნველყოფის სისტემა (Social Safety Net)</p>	<p>სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისთვის – მცირეშემოსავლიანი ოჯახებისთვის, უმუშევრებისთვის, პენსიონერებისთვის, ინვალიდებისთვის, მარტონელა მშობლებისთვის და ა.შ. დახმარების აღმოჩენის სისტემა.</p>
<p>სტრატეგიული ინვესტიცია (Strategic investment)</p>	<p>პირდაპირი ფინანსირების ერთ-ერთი ფორმა_გრძელვადიანი (ჩვეულებრივ 5 წლამდე და ზევით) ინვესტიცია, რომელიც საკუთრების უფლების მიღებით, წარმოების განვითარებაზე</p>

<p>სტერილიზაცია (Sterilisation)</p>	<p>და სამომავლო მოგებაზეა ორიენტირებული. ამა თუ იმ ეკონომიკური ღონისძიების თანმდევი არასასურველი ეფექტის გაბათილება სხვა ეკონომიკური ღონისძიებით. მაგალითად, სამთავრობო დაკრედიტების გაზრდის შედეგად ფულადი მარაგის ზრდის თავიდან ასაცილებლად, ეროვნული ბანკი უცხოური ვალუტის გაყიდვით ამცირებს მიმოქცევაში არსებული ადგილობრივი ვალუტის მოცულობას.</p>
<p>სუბორდინალური ვალდებულებები (Subordination Liabilities)</p>	<p>განიხილება, როგორც დაფინანსება სესხის მიღებით. ბანკი იღებს სახსრებს მომავალში პროცენტის გადახდის ვალდებულებით, ბანკის აქტივებზე ან რაიმე საკუთრებაზე პრეტენზიის გარეშე. გამომდინარე იქიდან, რომ ამ სახის სესხებისათვის დამახასიათებელია ფიქსირებული ვადები და მისი გამოყენება ზარალის დასაფარავად შეუძლებელია. ამ სახის ფინანსური ინსტრუმენტები ბაზელის შეთანხმების თანახმად, დაშვებულია გამოყენებული იქნას როგორც დამატებითი კაპიტალი. ოღონდ ერთი პირობით—მისი დაფარვის მინიმუმ 5 წლის ვადით და გარკვეული ლიმიტით, ადექვატური ამორტიზაციის ჩათვლით.</p>
<p>სუფთა მოგება (Net income/ Net profit)</p>	<p>თანხა, რომელიც რჩება მას შემდეგ, რაც გადახდილია ყველა ზარჯი და გადასახადი. ფინანსური გაგებით სუფთა მოგება ნიშნავს ქონების იმ ნაწილს რომელიც აღემატება მისთვის გადასახდელ თანხას. აქციონერის სუფთა მოგება კორპორაციაში არის იმ აქციები ღირებულება, რომელსაც ის ფლობს.</p>
<p>უიმედო სესხი (Bad loan)</p>	<p>გასესხებული თანხა, რომლის უკან დაბრუნება აღარ არის მოსალოდნელი (მაგალითად, მევალე გაკოტრდა). ასეთი სესხები მიეკუთვნება ზარჯებს და ჩამოიწერება.</p>
<p>ფარდობითი უპირატესობა (Comparative advantage)</p>	<p>ქვეყნის უნარი უფრო ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს გარკვეული საქონელი ვიდრე მეორე ქვეყანამ. (იხ. აბსოლუტური უპირატესობა)</p>
<p>ფასიანი ქაღალდები (Securities)</p>	<p>კაპიტალის მოზიდვის ფინანსური ინსტრუმენტი. ძირითადი ფასიანი ქაღალდებია: აქცია, ობლიგაცია, თამასუქი, სახაზინო ვალდებულება.</p>
<p>ფაქტორული რესურსები, წარმოების ფაქტორები (Factors of production)</p>	<p>რესურსები რომლებიც გამოიყენება ფირმების მიერ საქონლის ან მომსახურების წარმოებისას. გამოყოფენ საწარმოო ფაქტორების სამ ძირითად ჯგუფს: მიწა, სამუშაო ძალა და კაპიტალი.</p>
<p>ფაქტორული ღირებულება (Factor cost)</p>	<p>საქონლის ან მომსახურების ღირებულება დახარჯული ფაქტორული რესურსების გამოსახულებაში.</p>
<p>ფაქტორული შემოსავალი ან ეროვნული შემოსავალი (Factor income or national income)</p>	<p>ღროის მოცემულ პერიოდში შინამეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი მიღებული ბიზნესისთვის ფაქტორული რესურსების მოწოდების სანაცვლოდ.</p>

ფინანსური ბაზარი
(financial market)_

კაპიტალისა და კრედიტების გაცვლის ბაზარი. დანაზოგების მესაკუთრეებიდან, მსესხებლებამდე. მაგ: საფონდო ბირჟები, სავალუტო ბაზრები, საკრედიტო ბაზრები.

ფინანსური შუამავლები
(Financial intermediaries)

ფინანსური კომპანიების(ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საპენსიო ფონდები) ერთობლიობა, რომელთა ფუნქციაშიც შედის მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირება და ამ თანხების ეკონომიკური აგენტებისათვის გასესხება.

ფისკალური პოლიტიკა
(Fiscal policy)

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა. საგადასახადო სისტემისა და სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის სათანადო მართვით ქვეყნის ეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედების მექანიზმი.

ფულადი ბაზა
(Monetary base)

იხ. სარეზერვო ფული

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა
(Monetary policy)

ქვეყნის ეკონომიკურ აქტიურობაზე ზემოქმედება ფულის მოცულობის, დაკრედიტებისა და საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის სათანადო მართვით.

ფულის მიმოქცევის სიჩქარე
(Velocity of money circulation)

ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს თუ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საშუალოდ რამდენჯერ გამოიყენება ანგარიშსწორებისთვის თითოეული ფულადი ერთეული. გამოითვლება ფორმულით: $V = \frac{PY}{M}$, სადაც, V არის ფულის მიმოქცევის სიჩქარე; M – ფულის მოცულობა ($M2$ ან $M3$); Y – რეალური მშპ; P – მშპ-ს დეფლატორი.

ფულის მულტიპლიკატორი
(Money multiplier)

საბანკო სისტემას, სადეპოზიტო ანგარიშებზე მიღებული თანხების გასესხებით, ახალი დეპოზიტების შექმნის (ანუ ფულის გამრავლების) უნარი გააჩნია. ფულის მულტიპლიკატორი არის ამ გამრავლების კოეფიციენტი. ფულის მულტიპლიკატორი გამოითვლება $M2$ -ის ან $M3$ -ის სარეზერვო ფულთან შეფარდებით. არსებობს მისი გამოთვლის სხვა გზებიც. (იხ. სარეზერვო ფული; რეზერვები; სავალდებულო რეზერვები)

ღია ბაზარზე ოპერაციები
(Open-market operations)

ცენტრალური ბანკის მიერ, ფულის მასის რეგულირების მიზნით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

ღია ეკონომიკა
(Open economy)

ინტეგრაციული სისტემების ფილოსოფიური, იდეოლოგიური და ანალიტიკური გააზრების ღოჭტრინა. ეკონომიკური თეორიების ერთობლიობა, რომელიც მაკროეკონომიკურ დონეზე იკვლევს ეროვნულ მეურნეობებზე როგორც საგარეო ვაჭრობის ზემოქმედებას, ასევე გარედან კაპიტალის მოკლე და გრძელვადიან გადინებებს, ინფლაციის გადატანით ზემოქმედებას. ეკონომიკის ზრდა და

შინამეურნეობა (Household)	გახსნილობის ხარისხი პირდაპირპროპორციულია საგარეო სავაჭრო ბრუნვასთან.. ერთ საერთო საცხოვრებელ ფართობზე და ერთი საოჯახო ბიუჯეტით მცხოვრებ ადამიანთა ერთობლიობა.
შეზრულებული ფინანსური რესურსების ბაზარი (Limited financial market)	კაპიტალისა და კრედიტების გაცვლის ბაზარი., სადაც შეზრულებულია დანახოების მესაკუთრებიდან, მსესხებლებამდე მოძრაობა ეკონომიკური სისტემის უუნარობის გამო. ფინანსური შუამავლებიც სტიმულირების წინაპირობად, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და დაცვის პირობების შექმნა ითვლება.
შერეული ეკონომიკა (Mixed economy)	ეკონომიკური სისტემის, რომელშიც სამთავრობო და კერძო ინიციატივა განსაზღვრავენ რესურსების განაწილებას სტრუქტურას.
შელაგათიანი პერიოდი (Grace period)	კრედიტის დაბრუნების პერიოდი, რომლის განმავლობაში მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის გადახდა ხდება.
ჩრდილოვანი ეკონომიკა (Black, grey, underground, shadow economy)	ფარული ეკონომიკური გარიგებების ერთობლიობა, რომლის არსებობის საფუძველი – გადასახადებისაგან თავის არიდების ან არალეგალური ქმედების დამალვის სურვილია. ეკონომიკის აღურიცხავი ნაწილი, რომელიც კანონიერი და უკანონო საქმიანობისაგან წარმოიქმნება. გარიგებების დიდი ნაწილი ბარტერის ან ნაღდი ფულის მეშვეობით ხორციელდება, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაბეგვრა. ქვეყნის მთავარი ბანკი, რომელიც მოქმედებს როგორც მთავრობისა და სხვა ბანკების ბანკი და პასუხისმგებელია ქვეყანაში ფულადი პოლიტიკის განხორციელებაზე. საქართველოში – საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ).
ცენტრალური ბანკი (Central bank)	
ცხელი ფული (Hotly money)	სხვანაირად სპეკულაციური ფული. მოკლევადიანი (ჩვეულებრივ ერთ წლამდე) ინვესტიცია, რომელიც მაქსიმალურ მოგებაზეა ორიენტირებული და ძირითადად მოძრაობს საფონდო ბაზრებზე
წმინდა ადგილობრივი აქტივები – წაა (Net domestic assets - NDA)	როგორც წესი, ჯამი ამა თუ იმ საკრედიტო დაწესებულების ადგილობრივი საკუთრებისა და ეკონომიკის ადგილობრივი სუბიექტების მიმართ მოთხოვნებისა და ვალდებულებების სხვაობისა. სემ-ში, როგორც წესი საუბარია საქართველოს ეროვნული ბანკის წაა-ზე (იხ. აქტივები, წმინდა უცხოური აქტივები)
წმინდა უცხოური აქტივები – წუა (Net foreign assets - NFA)	როგორც წესი, ჯამი ამა თუ იმ საკრედიტო დაწესებულების უცხოეთში მდებარე საკუთრებისა და საზღვარგარეთ განლაგებული ეკონომიკური სუბიექტების მიმართ მოთხოვნების და ვალდებულებების სხვაობისა.

ჯინის კოეფიციენტი
(Gini coefficient)

იხ. ლორენცის მრუდი.

ჰიპერინფლაცია
(Hyperinflation)

ძალიან მაღალი ინფლაცია. ხშირად განისაზრვრება როგორც ინფლაცია რომლის თვიური ღონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის (ექვსი თვე და მეტი) განმავლობაში, 50 პროცენტს აღემატება.